



გორის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ20. 202333815

თარიღი:04/12/2023

გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაგეგმვისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრის შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 დეკემბრის №ბ20.202333558 ბრძანებით საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი“ 180-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის, დაიწყო გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის დაგეგმვა იწყება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. დაგეგმვის ეტაპზე საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შეიმუშაოს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 დეკემბრის №ბ20.202333558 ბრძანებით გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებული რეორგანიზაციის ფარგლებში, საჭიროა განხორციელდეს რეორგანიზაციის დაგეგმვა და განისაზღვროს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 - მე-13 მუხლების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განისაზღვროს განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, შემდეგი სახით:

ა) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპი დაიწყოს 2023 წლის 5 დეკემბრიდან.

ბ) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპზე შემუშავებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცვლილებების პროექტები და რეორგანიზაციის შედეგად შესაქმნელი ორგანიზაციული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხვა დადგენილებების პროექტები.

გ) ბრძანების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტები, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, წარდგენილ იქნას გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად.

დ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელი მოხელეების მობილობა განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ტოლფას თანამდებობაზე, არაუგვიანეს 2023 წლის 12 დეკემბერს (აღნიშნულის თაობაზე ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვარს), ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანამობის არარსებობისას, სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე მობილობის განხორციელების მიზნით, არაუგვიანეს 2025 წლის 13 დეკემბერს, ეთხოვოს საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში არსებულ სხვა საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ვაკანტური თანამდებობ(ებ)ის მოძიების თაობაზე.

ე) სხვა საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ვაკანტური თანამდებობ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში,

შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მოხელეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მობილობის საკითხი, არაუგვიანეს 2023 წლის 21 დეკემბერს, შეთანხმებულ იქნეს ჯერ ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მქონე დაწესებულებასთან, ხოლო შემდგომ დაბალი ვაკანტური თანამდებობის მქონე დაწესებულებასთან.

ვ) ვაკანტური თანამდებობის მქონე საჯარო დაწესებულების მიერ მოხელის მობილობის წესით დანიშნაზე თანხმობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2023 წლის 28 დეკემბრისა, აღნიშნული ინფორმაცია შეთანხმებულ იქნეს შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელესთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზ) მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში, შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მოხელე გათავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან, მიეცეს კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს 3 თვის ოდენობით და, სურვილის შემთხვევაში, ჩაირიცხოს მოხელეთა რეზერვში. აღნიშნულის თაობაზე ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2023 წლის 29 დეკემბრისა და ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვარს.

თ) თუ შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მოხელე უარს განაცხადებს გორის მუნიციპალიტეტის მერიამი და სხვა საჯარო დაწესებულებაში შეთავაზებული მობილობით სარგებლობაზე, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, მიეცეს კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს 1 თვის ოდენობით და ჩაირიცხოს მოხელეთა რეზერვში. აღნიშნულის თაობაზე ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2023 წლის 29 დეკემბრისა და ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვარს.

ი) ბრძანების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებში, ამავე სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვარი, შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი აქტების საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, რეორგანიზაცია დასრულდეს 2024 წლის 1 იანვარს.

2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას დაევალოს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გორის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (www.gori.gov.ge) გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

ვლადიმერ ხინჩგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

